

კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის
განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
კ ა ტ ა ლ ო გ ი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

„კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის“ არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯი თავისი მატერიალური რესურსების გამოყენებით ქმნის კომფორტულ და სასიამოვნო სასწავლო გარემოს. კოლეჯს აქვს: კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, ინტერნეტით უზრუნველყოფილი თანამედროვე საინფორმაციო კომპიუტერული ტექნიკა, წიგნებისა და პერიოდიკის შესაბამისი ფონდით და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა- სამკითხველო. სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის“ არის ადგილი, საიდანაც იწყება წარმატება თქვენს პროფესიულ კარიერაში.

„კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის“ მიზანია შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯის გრძელვადიანი გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საჭირო ხომალდების ტექნიკური მომსახურების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევად კოლეჯი თანამშრომლობს საერთაშორისო კომპანიებსა და დარგის ექსპერტებთან, რის შედეგადაც მოხდა ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება. კოლეჯის პარტნიორია ადგილობრივ ბაზარზე ერთადერთი ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ ლიცენზირებული საჭირო ხომალდების ტექნიკური მომსახურების კომპანია „შპს ეარფლეინ ტექნიქსი“ (ATL), რომელსაც ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი კოლეჯის საჭირო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1, B2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნვეყოფა.

ასევე, კოლეჯმა განაცხადი გააკეთა საქართველოს სამოქალაქო საავიაციო სააგენტოში სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებად აღიარების შესახებ. შექმნა საქართველოს სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს კანონის შესაბამისი სერთიფიცირებისათვის საჭირო დოკუმენტი: სამოქალაქო ავიაციის ტექნიკური

მომსახურების სასწავლო ორგანიზაციის სახელმძღვანელო- MTOE, რომელიც, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს კანონმდებლობასთან, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრანება N221.

კოლეჯი გეგმავს გაფართოებას და აქტიურად ემზადება EASA-ს ლიცენზირებისათვის. შიდა აუდიტი ჩატარებულია როგორც კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ასევე EASA-ს მიერ აღიარებული სან კარლოს საავიაციო ინსტიტუტის მიერ. რომელიც ადასტურებს კოლეჯის მზაობას დაგეგმილი EASA-ს აუდიტისათვის.

კოლეჯის საკლასო ოთახები აღჭურვილია დამატებითი სასწავლო მასალებით, როგორცაა საჰაერო ხომალდის სხვადასხვა აგრეგატების სქემები, ნახაზები და ილუსტრაციები. გარდა ამისა სასწავლო პროცესისას გამოიყენება პროექტორები, პერსონალური კომპიუტერები და სხვა.

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია არა მარტო სასწავლო ლიტერატურა, არამედ ICAO-ს რეგულაციები (Annex), საჰაერო ხომალდების საექსპლუატაციო სახელმძღვანელოები, საქართველოს საჰაერო კოდექსი. აგრეთვე სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი თვალსაჩინოებები , შესაბამისი წარწერებიანი იარაღებით (მაგ: რეაქტიული ძრავი, ფილტრები და სხვა). ბიბლიოთეკაში განთავსებულია აგრეთვე პერსონალური კომპიუტერები სტუდენტთათვის.

კოლეჯს გააჩნია კომპიუტერულ ბაზაზე დამყარებული პრაქტიკული ტრენინგ სისტემა (CBT), რომელიც ძალზედ ეფექტურია სწავლების პროცესში.

კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის გეგმავს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მიმართულებით ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში მიმდინარეობს საქმისწარმოება კოლეჯის მიერ აღნიშნული პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით. პროგრამის სპეციფიკის და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით კოლეჯი მზადაა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ავტორიზაციის საბჭოს თანხმობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვროს შემდეგნაირად: საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) - 30 პროფესიული სტუდენტი; საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)- 30 პროფესიული სტუდენტი. ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ.

II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისი საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მაღალკვალიფიციური, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები -
 - სრული ზოგადი განათლება
 - B2 დონის დამადასტურებელი ინგლისური ენის სერტიფიკატი ან სასწავლებლის მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება.
 - ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა „ ფორმა №IV -100/ა“.
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროფესიულ სტუდენტებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების პარალელურად ეძლევათ საშუალება ჩააბარონ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) საბაზისო კურსის სასერტიფიკაციო გამოცდები და მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატები, რომლის საფუძველზეც მიეცემათ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ აღიარებულ ტექნიკური მომსახურების კომპანიებში დასაქმების უფლება. ხოლო შემდგომი კარიერული წინსვლისათვის საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტს (B1.1) შეუძლია კონკრეტული საჰაერო ხომალდის „ტიპზე გადამზადება“ და მუშაობის უფლების მოპოვება შემდეგ პოზიციებზე: საჰაერო ხომალდების და ძრავების მექანიკოსი, რეაქტიული ძრავების მექანიკოსი, პნევმოსისტემის მექანიკოსი (საჰაერო ხომალდი), ძალური დანადგარის მექანიკოსი (საჰაერო ხომალდი), პლანერის მექანიკოსი, საჰაერო ხომალდების მომსახურების ტექნიკოსი, საჰაერო ხომალდების მომსახურების ზედამხედველი.

6. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია საჰაერო ხომალდების მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების, აწყობისა და დაშლის სამუშაოების, კაბელებზე, ელექტრობაზე, ავიონიკასა და ფურცლოვან მეტალებზე სამუშაოების შესრულება და საჰაერო ხომალდის და მისი სისტემების ტექნიკური მომსახურება.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება წარმოებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებით.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

შეფასება ხორციელდება პროგრამის შემადგენელ მოდულებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებისა და სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების საფუძველზე.

8. სწავლების ენა: ინგლისური ენა.

9. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 127,5 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა: 2 წელი

10. პროგრამის განხორციელების ადგილი:

თეორიული სწავლებისათვის: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. 191გ,

პრაქტიკული კომპონენტისათვის: პარტნიორი ორგანიზაციების შპს „ეარფლეინ ტექნიქს“ და შპს „თამ მენეჯმენტის“ ბაზები.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა

სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

საჭაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების B1.1 პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად პირს მიენიჭება - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჭაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში.

საჭაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის ლიცენზიის მოსაპოვებლად ამ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ პირი ვალდებულია მიმართოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს.

III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისი საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მაღალკვალიფიციური, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები -

- სრული ზოგადი განათლება
- B2 დონის დამადასტურებელი ინგლისური ენის სერტიფიკატი ან სასწავლებლის მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება.
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა „ ფორმა №IV -100/ა“.

5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროფესიულ სტუდენტებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების პარალელურად ეძლევათ საშუალება ჩააბარონ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) საბაზისო კურსის სასერტიფიკაციო გამოცდები და მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატები, რომლის საფუძველზეც მიეცემათ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ აღიარებულ ტექნიკური მომსახურების კომპანიებში დასაქმების უფლება. საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტს (B2) შეუძლია იმუშაოს ნებისმიერი ტიპის სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ავიონიკის ტექნიკოსის პოზიციაზე საჰაერო ხომალდის „ტიპზე გადამზადების“ სერტიფიკატის ალების შემდეგ.

6. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია საჰაერო ხომალდების მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების, აწყობისა და დაშლის სამუშაოების, კაბელებზე, ელექტრობაზე, ავიონიკასა და ფურცლოვან მეტალებზე სამუშაოების შესრულება.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება წარმოებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებით.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

შეფასება ხორციელდება პროგრამის შემადგენელ მოდულებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებისა და სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების საფუძველზე.

8. სწავლების ენა: ინგლისური ენა.

9. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 121,5 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა: 2 წელი

10. პროგრამის განხორციელების ადგილი:

თეორიული სწავლებისათვის: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. 191გ,

პრაქტიკული კომპონენტისათვის: პარტნიორი ორგანიზაციების შპს „ეარფლეინ ტექნიქს“ და შპს „თამ მენეჯმენტის“ ბაზებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების B2 პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად პირს მიენიჭება - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში.

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის ლიცენზიის მოსაპოვებლად ამ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ პირი ვალდებულია მიმართოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს.